ეროვნული
ბიბლიოთეკა
ბსბ

თენგიზ ცეცხლაშვილი

# მესაზღვრე



# ნუგზარ ჯაიანი

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

# მესაზღვრე

## ნუგზარ ჯაიანი

ბათუმი
2019

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი **რამაზ სურმანიძე**, პროფესორი

წიგნზე მუშაობის პროცესში დახმარებისათვის მადლობას ვუხდი მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ანზორ კუდბას, ბატონ გუბაზ ვანილიშს და ნუგზარ ჯაიანის ოჯახის წევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქტორისგან




სახელმწიფო საზღვართან მცხოვრები აჭარის მოსახლეობა მესაზღვრეთა სახით ხედავდა მის დამცველს, მშველელს და ქვეყნის სახელოვან ადამიანს. თვით მესაზღვრეებიც ადგილობრივ მკვიდრებს ისე შეეჩვივნენ, რომ მათ საკუთარ ახლობლებად, ძმებად და ოჯახის წევრებად თვლიდნენ. ასეთი ურთიერთობა სასარგებლო იყო ადგილობრივი მოსახლეობის, მესაზღვრეების და ქვეყნისთვისაც, რადგანაც ასეთი ახლობლობა ერთ ძალას, თანამოაზრეებს და სახელმწიფოსთვის ერთგულ რაზმს ქმნიდა.

მესაზღვრეთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნუგზარ ჯაიანი, რომელმაც თავისი აქტიური ცხოვრების თითქმის 40 წელი საქართველოს საზღვრების დაცვას მოახმარა და ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით მრავალი ჯილდოთი და სიგელით გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, თუმცა ნუგზარ ჯაიანმა სახელი და აღიარება მოიპოვა. არა ოდენ სამხედრო სამსახურით, არამედ უაღრესად გულღია, სანდო და მიმზიდველი ადამიანური თვისებებით. სწორედ მისმა ასეთმა ხასიათმა განაპირობა მოსახლეობის უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემა. საზღვრის სიახლოვეს რომელიმე სოფელში ყოფნისას, თუ სამხედრო სამოსი არ ეცვა, მას ვერც კი გაარჩევდი ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან და შემთხვევითი არ იყო, რომ მან მუდმივ საცხოვრებლად ათეული წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ ნავალი გონიოს მიწა და ძმებსავით შესისხლხორცებული ხალხი არჩია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამას სხვა საბაბიც ქონდა, მისი გვარი ,,ჯაიანი“ 1994 წლის მონაცემებით საქართველოში 2000-ს ოდნავ აღემატებოდა, აქედან 600-მდე ე.ი. მეოთხედზე მეტი აჭარაში, ხიხანის ხეობაში და ბათუმში ცხოვრობდა, 200-ზე ოდნავ მეტი თბილისში და მხოლოდ 200-მდე გვარის ბუდე-ადგილას, სენაკის რაიონში. თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ნუგზარი აჭარელ თანამოგვარეებში არა შორეულ, არამედ ახლო ნათესავს ხედავს, აქაური ჯაიანებიც ასეთივე სიახლოვით პასუხობდნენ.

პენსიაზე გასული სამხედრო პირი არ ჩაკეტილა თავის ყოფილ სამსახურებრივ სამყაროში, არასოდეს გაუწყვეტია კავშირი სამოქალაქო პირებთან და ბათუმის ინტელიგენციასთან. იგი მუდამ უგდებს ყურს თავისი ქვეყნის მაჯისცემას, უხარია რაც კარგია და მჭმუნვარებით ხვდება ყველა უკუღმართობას. ჯანმრთელობაშერყეული უფროსი ოფიცერი თავის თავში პოულობს ძალებს, რათა ყოვლეღდღიურად მოინახულოს ძველი მეგობრები, ახალგაზრდობას გულუხვად გაუზიაროს გადახდენილი ცხოვრების ეპიზოდები და ასწავლოს როგორ უნდა გახდნენ სამშობლოს ერთგული პატრიოტები.

ახლა ნუგზარი ,,ბათუმის სახალხო აკადემიის“ ერთ-ერთი უხუცესი წევრია, თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს აქ მეგობრებთან, თანატოლებთან და თანამებრძოლებთან ატარებს. ეს მისი მეორე სახლია და უნდა მოვუწონოთ ბატონ თენგიზ ცეცხლაშვილს, მრავალი წიგნის ავტორსა და პუბლიცისტს, თავადაც ყოფილ მესაზღვრეს, რომ ხელი მოკიდა თავისი უფროსი კოლეგისა და თანამოაზრის ცხოვრების ასახვას. დარწმუნებული ვარ ამ წიგნის გამოსვლვას სიხარულით შეხვდება აჭარის ყველა მცხოვრები.

**რამაზ სურმანიძე**

პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ ჯაიანი

ცხოვრებაში გამოწვრთნილი
კაცი უფრო მეტად ფასობს...

**აკაკი წერეთელი**

2019 წლის 30 აპრილი იდგა. სადღაც თორმეტ საათისთვის ბათუმელმა გუბაზ ვანილიშმა მომაკითხა აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელსაც ხშირად ვსტუმრობ. მითხრა, რომ ცნობილი მესაზღვრე ნუგზარ ჯაიანს უნდა ჩვენი ნახვაო. მე მას სამსახურიდან ვიცნობდი. იგი, ღვაწლმოსილი მესაზღვრე, ბოლოს ხელვაჩაურის რაიონში უშიშროების უფროსად მუშაობდა საზღვარზე.

ორი საათისათვის მე და ბატონი გუბაზი მის სახლში, გონიოში ვიყავით. პატარა მაგიდაზე სახელდახელოდ გამოტანილი მისი მოღვაწეობის დროინდელი სურათები ელაგა. იქვე ჯილდოებიც ეწყო. ასე მომმართა: „სწორი იყავი, ჩემო თენგიზ, როცა მითხარი, ეს ყოველივე ერთ დიდ ალბომში მოაქციე და ისე დაუტოვე შენს შვილიშვილებსო.



მამა
აქსენტი ჯაიანი
(1901-1989)

ბატონ ნუგზარს ა/წ 19 მარტს 89 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა ფოთში, იზრდებოდა აბაშაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში, შემდეგ ბაბუამ დედის მხრიდან ალექსანდრე ჭანტურაიამ ბინა შეუძინა ცხაკაიაში (სენაკი). ნუგზარის მამა აქსენტი ჯაიანი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იყო დამსახურებული რკინიგზელი, ობლობაში გაიზარდა. მას ხუთი და ჰყავდა და ერთი ძმა. ნუგზარის უფროსი მამიდის ნადეჟდა ჯაიანის შთამომავლები ეზუგბაიები ზუგდიდში ცხოვრობენ, ხოლო ფოთში - მამიდების — ძაძუს, აგრაფინას, შთამომავლები, ფილიები და ჩიჩუები, მამიდის მარიამის შთამომავალი, შარაშიძეები — სოფელ გეგუთში, მარტვილის რაიონში, კატო მამიდის შთამომავლები გაბუნიები. მამის ძმის ვლადიმერის შთამომავლები; ჯაიანები — ჩხოროწყოს რაიონში.



დედა
მარიამ ჭანტურაია-ჯაიანი
(1908–1994)

ნუგზარის დედა — მარიამ ალექსის ასული ჭანტურაია—ჯაიანისა მუშაობდა რკინიგზის პოლიკლინიკაში ექთნად. ნუგზარი მშობლების ერთადერთი შვილი გახლდათ და ამის გამო ჯარში არ გაუწვევიათ, რაც ნუგზარს ეთაკილებოდა, სირცხვილისგან ტოლებს თვალს ვერ უსწორებდა. ეს გარემოება არ გამოპარვია პოლკოვნიკ ბიძას გიორგი ჯაიანს, რომელიც იმ დროს მსახურობდა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილის თანაშემწედ და მისი რჩევით ცხაკაიას 26-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნუგზარი დაღესტნის რესპუბლიკის ქალაქ მახაჩკალის მესაზღვრეთა უმაღლესი საოფიცრო სკოლაში ჩაირიცხა. (1950–1953) დამთავრების შემდეგ



გიორგი ჯაიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. სენაკის (ცხაკაია) 26-ე რკინიგზის საშუალო სკოლის
მე-11 კლასელ მოსწავლეებთან ერთად
(ნუგზარი მე-4 რიგში მარჯვნივ). 1949 წ.




- ქალაქ მახაჩკალის მესაზღვრეთა კურსდამთავრებულთა სურათი 1953 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნუგზარ ჯაიანის მესაზღვრეთა წლიური ანგარიშის მოხსენება, 1955 წ.



ნუგზარ ჯაიანი კურსანტებთან ერთად. 1954 წ.



ნუგზარ ჯაიანი
უფროსი ლეიტენანტი



მეუღლე
გუგული გაბედავა
(1931–2011)



ნუგზარ ჯაიანი (შუაში) მესაზღვრეებთან ერთდ

მთელი თავისი ცხოვრება საზღვრის უსაფრთხოებას მიუძღვნა: საოფიცრო სკოლის დამთავრების შემდეგ ლეიტენანტი ნუგზარ ჯაიანი გაამწესეს სასომხეთისა და თურქეთის საზღვარზე, ხოლო 1954 წელს ნუგზარ ჯაიანი გადაყავთ თურქეთ–საქართველოს საზღვარზე, აჭარაში, კერძოდ, 37-ე საზაღვრო რაზმის ოფიცრად. ამავდროულად ის სწავლობს მოსკოვის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის სახელობის უშიშროების უმაღლესი სასწავლებელში,რომლის დასრულების შემდეგ 1966 წელს მას იურისტ–სამართალმცოდნის წოდება მიენიჭა.

1953 წელს ნუგზარ ჯაიანმა თავისი ცხოვრება დაუკავშირა პედაგოგ ქალბატონ გუგული გაბედავას, რომელიც გერმანულ ენას ასწავლიდა სოფელ თხილნარისა და აჭარისწყლის სკოლებში და სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. ნუგზარის საყვარელი მეუღლე 2011 წელს გარდაეცვალა, იგი განისვენებს იქვე, სოფელ გონიოში. მეუღლისაგან ნუგზარს შეეძინა სამი შვილი, ზურაბი, ნინო და ბესიკი, სამწუხაროდ ქალიშვილი 2014 წელს გარდაეცვალათ. მათგან ყავს შვილიშვილები და შვილთა შვილები.





ნინო ჯაიანი (1958–2014 და მისი გარდაცვლილი ქალიშვილი ლიკა სურგულაძე (1980–1997)

მაიორი ნუგზარ ჯაიანი 1968 წელს სასაზღვრო სამსახურიდან გადაყავთ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და ინიშნება ხელვაჩაურის რაიონის განყოფილების უფროსად, რომელიც სასაზღვრო ზონას აკონტროლებდა, სადაც შედიოდა ისტორიული გონიოს ციხის ნაგებობაც. ბათუმში ჩამოსულ სტუმრებს ძალიან აინტერესებდათ გონიოს ციხის დათვალიერება. დღეს რომ თავისუფლად შეიძლება მისი ნახვა, მაშინ სპეციალური საშვი იყო საჭირო, რომლის აღებას დრო სჭირდებოდა. ჩვენ ახლობლები გვთხოვდნენ ხოლმე, რათა მათი სტუმრებისათვის გონიოს ციხე გვეჩვენებინა, ამ საქმეში ხელს გვიმართავდა



თენგიზ ცეცხლაშვილი (მარცხნიდან პირველი)
და ნოდარ ცეცხლაძე გონიოს ციხესთან
თბილისელ სტუმრებთან ერთად

სწორედ ნუგზარ ჯაიანი. მეც მისი დახმარებით რამდენჯერ გამიყვანია ჩემი სტუმრები გონიოს ციხის მოსანახულებლად.

გონიოს ციხის სანახავად ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას პაატა ბურჭულაძე ჩამოსულა მის სტუმრებთან ერთად. კვირა დღე იყო. გონიოს ციხე–მუზეუმი დაკეტილი დახვდათ და მაშინ ნუგზარს განუზრახავს, რომ ისინი წაეყვანა მეურნეობის პლანტაციის დასათვალიერებლად, მაგრამ იქაც დაკეტილი დახვედრიათ ჭიშკარი. ნუგზარის თანმხლებმა პირმა სულიკო (ხაჩიკად ცნობილმა) დიასამიძემ ჭიშკრის კარები მაღლა მხრებით აწია და შესულან შიგ. სტუმართმოყვარე ნუგზარი იქვე სასადილოში გამასპინძლებია სტუმრებს. სტუმრებმაც თავის მხრივ ნუგზარი მიიპატიჟეს ქალაქის რესტორანში, მაგრამ ნუგზარს უარი უთქვამს.

ამავდროულად 1975 წელს ნუგზარ ჯაიანი აირჩიეს ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად.

ხელვაჩაურის რაიგანყოფილება საქართველოს ოფიცერთა კავშირთან არსებული ეროვნული უშიშროების აკადემიის 2012 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით, საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარესთან, გენერალ–ლეიტენატ იური ნებიერიძესთან წინასწარი შეთანხმებით 2012 წლის აგვისტოდან დაარსდა საქართველოს ეროვნული უშიშროების აკადემიის აჭარის ფილიალი შემდეგი შემადგენლობით:

1 – ვიცე–პოლკოვნიკი ჯაიანი ნუგზარ აქვსენტის ძე – ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;

2 – ვანილიში გუბაზ მუხამედის ძე – მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

3 – მალაყმაძე დავით შუქრის ძე – რიგითი წევრი.

ფილიალის პირველი სხდომა ჩატარდა 2012 წლის 25 აგვისტოს სოფელ გონიოში. ბატონ ნუგზარ ჯაიანს სახელმძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

NATIONAL SECURITY ACADEMY OF THE GEORGIAN OFFICER CORPS

საქართველოს ოფიცერთა კავშირთან არსებული ეროვნული უშიშროების აკადემია

АКАДЕМИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ ПРИ СОЮЗЕ ОФИЦЕРОВ ГРУЗИИ

0113 საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ. №112, ფაქსი/ტელ: 277 83 44, მობ. 599 77 34 50

0113 Грузия, Тбилиси, просп. Церетели №112, Факс/тел: : 277 83 44, моб. 599 77 34 50

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01 17.09.2012 წ.

საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარესთან, გენერალ-ლეიტენანტ ბატონ იური ნებიერიძესთან წინასწარი შეთანხმებით და მისი ნებართვით 2012 წლის აგვისტოდან დაარსდა საქართველოს ეროვნული უშიშროების აკადემიის აჭარის ფილიალი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვიცე-პოლკოვნიკი *ჯაიანი ნუგზარ აქვსენტის ძე* – ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;
2. *ვანილიში გუბაზ მუხამედის ძე* – მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
3. *მალაყმაძე დავით შუქრის ძე* – რიგითი წევრი.

ფილიალის პირველი სხდომა ჩატარდა 2012 წლის 25 აგვისტოს სოფელ გონიოში. ესწრებოდნენ: გივი იასეშვილი, ნუგზარ ჯაიანი, გუბაზ ვანილიში და დავით მალაყმაძე. ბატონ ნუგზარ ჯაიანს სახელმძღვანელოდ გადავეცით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011 წ. და ჩემი საიუბილეო წიგნი გივი იასეშვილი. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია. 2009 წ.

ბატონ ნუგზარ ჯაიანს საქართველოს ეროვნული უშიშროების აკადემიის წევრობის სტაჟი ჩაეთვალოს 2008 წლის ივლისიდან.

ბრძანება დაყვანილი იქნეს აკადემიის წევრებამდის.

*დანართი:* საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარის, აკადემიის რექტორის, გენერალ-ლეიტენანტ იური ნებიერიძის ბრძანება №38, 20 ივლისი, 2012 წ.

საქართველოს ეროვნული უშიშროების აკადემიის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი –
აკადემიკოსი სამხედრო პოლიტიკური სპეციალობით,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი გივი იასეშვილი



ДИПЛОМ

У № 877769

Настоящий диплом выдан Джаяни Нугзару Аквсентьевичу в том, что он в 1961 году поступил в Высшую школу КГБ при Совете Министров СССР имени Ф. Э. Дзержинского и в 1966 году окончил полный курс названной школы по специальности правоведение

Решением Государственной экзаменационной комиссии от „21" октября 1966 г. Джаяни Н. А. присвоена квалификация юриста

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Начальник

Секретарь

М. П. Город Москва „22" октября 1966 г.

Регистрационный № 365

Московская типография Гознака. 1963.

НАГРУДНЫЙ ЗНАК ВРУЧЕН



მოწმობა ძალაშია 1975 წლის ივლისამდე

Удостоверение действительно по июль 1975 года

დეპუტატის პირადი ხელის მოწერა

მოწმობა № 73

ამხანაგი ჯაიანი ნუგზარ აქსენტის-ძე არჩეულია აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ხელვაჩაურის რაიონული საბჭოს დეპუტატად № 73 საარჩევნო ოლქიდან.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი



გუბაზ ვანილიში



დავით მალაყმაძე

ღვანელოდ გადაეცა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და გენერალ მაიორ გივი იასეშვილისა წიგნი ,,საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია" (2009 წ.) ეს, რაც შეეხება მის სამხედრო პოლიტიკური და მეცნიერული კვლევის და სახელმწიფო საზღვრების უშიშროების საქმიანობას. იგი დაჯილდოვებულია მრავალი მედლითა და სიგელით, როგორც აღვნიშნეთ, მან საზღვრის თემას მიუძღვნა სათანადო სადისერტაციო ნაშრომი.

დღეს იგი ლამაზი ოჯახის პატრონია, ტანად წარმოსადეგი, დიდი მესაზღვრე ჯანიანი ჯაიანიაო, ასეც ამბობენ მასზე.

ჭეშმარიტი ინტელიგენტი ,,ბათუმის სახალხო აკადემიის" საპატიო წევრია; რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია დაარსებული. მისი დამაარსებელია ცნობილი ბათუმელი მწერალი და ჟურნალისტი ალექსანდრე (ალი) სამსონია.

ნუგზარ ჯაიანი 1986 წელს ვიცე–პოლკოვნიკის წოდებით გადის პენსიაზე. მას იწვევენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები, სადაც კითხულობს ლექციებს სამართლებრივ საკითხებზე. კერძოდ, იყო მიწვეული საზოგადოება ,,ცოდნა"-ს მიერ, (პროფესორი ჯემალ ჩხეიძე) ხელმძღვანელობდა. იყო მიწვეული ბათუმის კვლევით ინსტიტუტში, (აკადემიკოსი დავით ხახუტაიშვილი) აგრეთვე ინსტიტუტ ,,დრუჟბა"-ში, (დოცენტი კარლო ცომაია) და კიდევ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბატონი ნუგზარი კეთილი საქმეების გამო შეიყვარა ხალხმა, თავისი უბრალოებით, პატიოსნებით, კეთილი, უბოროტო გულის პატრონი, მუდამ მზად არის დახმარების ხელი გაუწოდოს ადამიანებს. ის ბევრს დახმარებია ხულოს რაიონში, სახელმწიფო უშიშროებაში მუშაობისას 1981–84 წლებში. იმ ხანებში თურქეთის 19 კილომეტრიან საზღვარზე მიხდებოდა ზედამხედველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რჩევისთვის სწორედ უშიშროებაში გავლენიან პირს, გამოცდილ მესაზღვრეს ნუგზარ ჯაიანს მივაკითხავდი ხოლმე. რჩევას არ დაგამადლებდათ შეგაგულიანებდათ კიდეც, თვალსაც მოგადევვნებდა, არაფერი შეეშალოსო. იცის როგორ მოიგოს,ადამიანის გული. არასოდეს გაგაწბილებთ.

აქ, ერთიც უნდა გავიხსენო: გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებში. გორკის ქუჩით (დღვანდელი გორგილაძის) ჩემი მანქანით ჩამოვიარე, გრიბოედოვის კვეთაში ბატონ ნუგზარს მოვკარი თვალი და მყისვე გავუჩერე მანქანა. გვერდით მომიჯდა და მითხრა, ცხაკაიაში მივდივარო. ალბათ კარგად ვერ გავიგონე და ცხაკაიას ქუჩაზე შევუხვიე. მიხვდა ბატონი ნუგზარი, რომ მე ვერ გავერკვიე სეტუაციაში და მყისვე მითხრა, აქვე ჩამოვალ, ავტობუსების გაჩერებასთანო, მე ხომ ქალაქ ცხაკაიაში მივდივარო, მითხრა და მეც მყისვე ცხაკაიასკენ ავიღე გეზი, სადაც პატარობისას ტეხურას პირას ვიზრდებოდი, სოფელ ნოსირში, ანგელინა დეიდას მეუღლის ვიქტორ გუგუშვილის ოჯახში.


თენგიზ ცეცხლაშვილი საზღვარზე

ამით იმისი თქმა მინდა, რომ ბატონი ნუგზარი არასოდეს დაავალდებულებდა სხვას, თვითონ კი თავზე გადაგყვებოდათ.

წიგნზე მუშაობის პროცესში ხსირად მიხდებოდა ნუგზარისთან ჩასვლა და ძალაუნებურად გონიოში მცხოვრებ ჩემ ნათესავებს კეჟერაძეებს ვიხსენებდი. აქ დაიბადა დეიაჩე-

მის ცაცის მეუღლე სერგო კეჟერაძე. ისინი გონიოს სასაფლაოზე განისვენებენ. მე მშობლებით ბევრჯერ ვყოფილვარ გონიოში სერგო ბიძიას ძმის ზაქროს სახლში, სადაც დიდი სითბო მიმიღია. როდესაც წამოვიზარდე სერგო ბიძია ჩემი უფროსი მეგობარი გახდა. მის დაუკითხავად რამეს არ ვწყ-ეტდი. მახსოვს მეხუთე კლასში ვიყავი, როცა დამპირდა – თუ ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში გადავიდოდა სათამაშოდ იმ შემთხვევაში პირველ მის კალენდარულ თამაშზე წამიყვანდა ქუთაისში. „ტორპედოც“ გადავიდა უმაღლეს ლიგაში და 1961 წლის აპრილის თვეში წამიყვანა კიდეც ქუთაისში, სადაც პირველ კალენდარულ თამაშში ერთმანეთს ქუთაისისა და მოსკოვის თანაკლუბელები შეხვდნენ. თამაში ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 4;2. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სერგო ბიძია უზომოდ კაცთმოყვასი ადამიანი გახლდათ, განათლებული და სიტყვა ტკბილად მოუბარი იყო. ბევრჯერ გადაუდვია თავისი პირადი საქმე და დრო დაუთმია ჩემი პრობლემების მოსაგვარებლად. შორიდან დაიწყებდა, სხვა რამეს მოყვებოდა და იქ შენს თავს ამოიცნობდი. ჩვენი ოჯახები მეზობლად ცხოვრობდნენ. ის წლების მანძილზე მამაჩემთან ერთად მუშაობდა. ისინი კარგი დურგლები იყვნენ და მეგობრობდნენ. ბიძია 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის გამო მამაჩემი ძლიერ ნერვიულობდა. ერთი წელიც არ გასულა ლოგინად ჩავარდა და მალე გარდაიცვალა.

სერგო ბიძიას ორი ძმა ჰყავდა. დურსუნი და ზაქრო. უფრო ახლოს – ზაქრო ბიძიასთან ვურთიერთობდი, ის გონიოში ცხოვრობდა, ბიძიასავით კეთილი, სტუმართ მოყვარე და სოფლად დაფასებული კაცი გახლდათ. ის ბატონ ნუგზართანაც მეგობრობდა. ბავშვობაში ხშირად დავდიოდი მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბსბ



სერგო კეჟერაძე



ზაქრო კეჟერაძე



ჯემალ კეჟერაძე

თან სოფელში. მახსოვს, ერთხელ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი ჩემი ოჯახით. ახალი წლის წინა ღამე იდგა, როდესაც კარი შემოაღო სოფლის ნობათით დატვირთულმა, თუმცა მანამდე ბევრი ვუძებნივარ. გონიოში ამხანაგებით ჩასულს უყურადღებოდ არ მტოვებდნენ ის და მისი შვილი ჯემალი. აბა, ამ პატივისცემას და ყურადღებას რა დამავიწყებს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს ორთავე მამა–შვილის სული. ამით იმისი თქმა მინდა, რომ მკითხველს უფრო ახლოს გავაცნო ამ სოფელში და საერთოდ ჩვენს კუთხეში მცხოვრები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხის ბუნება. სწორედ რომაც, ასეთი ხალხის სიყვარულმა, მათმა ბუნებამ „აიძულა“ ნუგზარ ჯაიანი ამ ულამაზეს კუთხეში დაედო ბინა.

ბატონ ნუგზარს მოვლილი აქვს ბევრი ქვეყანა. იცნობს ცნობილ ადამიანებს, ამას მათი ავტოგრაფებიც მოწმობს. მის ოჯახურ ალბომში ბევრი ცნობილი ადამიანის ფოტოსურათია განთავსებული. მას პატივს სცემენ საქართველოს ყველა კუთხეში. მას იმდენად უყვარდა მშობლიური კუთხე აჭარა და მისი თბილი და სტუმართმოყვარე მოსახლეობა, სადაც იგი წლების მანძილზე საზღვარზე მსახურობდა, და



ნუგზარ ჯაიანი თავის ეზო-კარში. 2019 წ.

1982 წლიდან ბინაც სასაზღვრო სოფელ გონიოში დაიდო, სენაკიდან თავისი მხცოვანი მშობლებიც გადმოიყვანა. ისინი გონიოს სასაფლაოზე განისვენებენ. სოფელმაც დაუფასა ღვაწლი და ამაგი – გონიოს ციხის კედლებთან რომ სასაფლაოა, საგვარეულო მიწაც იქ გამოუყო ჯაიანებს.

მართალია, ამ ბოლო დროს ჩვენს ნუგზარს ცოტა არ იყოს ჯამრთელობამ უმტყუნა, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ მალე იხილავს თავის საყვარელ საქართველოს წელში გამართულს, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

ჰყავს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, მათი იმედითაა რომ ხარობს. თავის მხრივ ისინიც არ აკლებენ



აბაშა, ნუგზარის მშობლები რძალთან გუგულისთან და შვილიშვილებთან ერთად. 1963 წ.

ყურადღებასა და მზრუნველობას მხცოვან ბაბუას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბატონმა ნუგზარმა გვთხოვა, რომ სურათებიდან ალბომი გაგვეკეთებია. მაშინვე მომივიდა აზრი, რომ ამ სანაქებო ადამიანზე პატარა წიგნი–ალბომიც შემექმნა. ჩემი გამოცემული წიგნი ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ" გამახსენდა. დავფიქრდი, მე აქ დაბადებული და აქვე გაზრდილი ვალდებულიც



ნუგზარ ჯაიანის ოჯახი. 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყავი ამ კუთხისადმი ჩემი სიყვარული გამომეხატა. ამ კაცმა – რაინდმა, ემსახურა აქაურ კუთხეს, შეიყვარა მისი ხალხი და საცხოვრებლადაც აქ დაიდო ბინა. ჰოდა: ამ უაღრესად დიდ და სამაგალითო ადამიანზე წიგნი-ალბომის შექმნა განვიზრახე. რომელიც მან თავისი განვლილი ცხოვრებით დაიმსახურა. ეს ჩემი მოსაზრება გავაცანი იქ მყოფთ და მათაც მოიწონეს და იმ დღიდანვე მე ბატონმა გუბაზმა დავიწყეთ წიგნ–ალბომზე მუშაობა, ამ მხრივ აქტიურობდა ბატონი ნუგზარის ოჯახის წევრებიც. აქეთ კი, როგორც ყოველთვის ჩემი ანზორ კუდ-ბას იმედი მქონდა, რომ ახლაც ამომიდგებოდა მხარში. აქვე დავსძენ: ბატონ ნუგზარს ლექსი მიუძღვნა ჩვენმა აკადემიელმა, ნუგზრის დიდი ხნის მეგობარმა პოეტმა **დუგლას კომახიძემ**.

ეს ლექსი მეორე დღეს წავუკითხეთ ბატონ ნუგზარსა და მის ახლობლებს აი, ისიც:

შენ საქართველოს დიდო რაინდო!
იყავ სასაზღვრო რკინის კედელი,
სამშობლოსათვის თავდადებული
ბოროტების და ზიზღის მდევნელი.
შემოვლილი გაქვს კუთხე კუნჭული
რომელსაც შენი წარსული იცავს,
დღეს ვაჟკაცები სიტყვის დასტურად
მტრისაგან დაცულ მიწა-წყალს ფიცავს.
ახლა როდესაც ასაკი გებრძვის
ბოლომდე რჩები პატრონი სიტყვის,
შენს დიდკაცობას და ვაჟკაცობას
ისტორია და წარსული იტყვის!
შენი ნიჭი და დიდი კაცობა
საგვარეულოს არ დაკლებია,
ოთხმოცდა ცხრა წელს გილოცავს ნუგზარ
ქალაქ ბათუმის აკადემია!
იყავი ხარ და მუდამ იქნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტების და მტრობის მდევნელი,
სამეგობროს და საგვარეულოს
ერთი უკვდავი კაცი კედელი!

ამ საუცხოო ლექსის შემდეგ, გავბედავ და ერთ პატარა ლექსსაც შემოგთავაზებთ ჩემი წიგნიდან **„გულის ნადები“** ჩვენი ნუგზარის პიროვნებას მიესადაგება:

ენავ ტკბილად მოუბარო
მუდამ შენი მონა ვარ,
ხარ სიცოცხლის ელექსირი
ტკბილო ენავ, ჯადო ხარ!
მკვახე ენამ კბენა იცის,
მწარე ენა კაცსა კლავს,
არ დაგინდობს ენა ავი,
მოაბეზრებს კაცსა თავს.
ენავ ტკბილად მოუბარო
მუდამ შენი მონა ვარ!
ჩემი თავი შემოევლოს
ვისაც ტკბილი ენა აქვს!

ჰოდა, ჩემო ნუგზარ, მთელი ქვეყანა შემოგევლოს შენი ტკბილი ენის გამო!

საერთოდ მამულის მსახურებზე ბევრს არ საუბრობენ. მათს ღირსებაზე მეტყველებენ სიგელები და ჯილდოები. რაც მრავლად მიუმადლებიათ ბატონი ნუგზარისთვის.



ზურაბ ჯაიანი მეუღლე მზიასთან და
ვაჟიშვილ ნუგზართან (ბაჩანა) ერთად. 2012 წ.



ნინო, მზია, ზურაბ და ქალიშვილი მარიამი. 2012 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბესო ჯაიანი მეუღლე ინგასთან ერთად



ბესო ჯაიანი ინგასთან და შვილთან გიორგისთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ ჯაიანი (ბაჩანა) მეუღლე ზლატასთან ერთად. 2013 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბსბ



ზურაბ ჯაიანის ქალიშვილი მარიამი და
მისი მეუღლე ირაკლი შამუგია. 2012 წ.



ნუგზარი თავის ოჯახთან ერთად. 2004 წ.



ნუგზარი შვილიშვილ ანასთან ერთად. 2004 წ.



ნინო ჯაიანი ოჯახთან ერთად



ნუგზარის სიძე - გუსევი სერგეი ქალიშვილთან ანასთან ერთად. 2019 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ჯაიანი ოჯახთან ერთად



ამბროსი ჯაიანი – ახალი აფონის სანატორიუმების გენერალური დირექტორი (დგას მარჯვნიდან პირველი) საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინთან (ზის) ერთად. 1947 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ბსბ

## „არ დაივიწყო ვისი გორისა ხარ

ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯაიანების გვარი მე-15 საუკუნიდან არის ცნობილი. მის პირველ წარმომადგენლად აღიარებულია ცოტნე ჯაიანი. ჯაიანის გვარი იხსენიება 1476 წლიდან. იგი საუკუნეებს ითვლის. მემატიანე გვამცნობს, რომ ჯაიანები ზემო სვანეთიდან ლიხთ-იმერეთში ჩამოსახლებულან და მომდევნო პერიოდში სამეგრელოს მთავრის დადიანის კართან დაახლოვებულ დიდებულებად სჩანან. თუმცა ამ ორ გვარს შორის არაერთჯერ მომხდარა სისხლისმღვრელი შეტაკებებიც. ხანგრძლივი დროის მანძილზე ჯაიანების გვარის აღმავლობაც იყო და დაცემაც. მემატიანის ნდობით ერთ-ერთი ინციდენტის დროს გადადიანებულ ჩიქოვანებს მოუკლავთ ჯაიანების რამოდენიმე თავკაცი. ამ ინციდენტს გადარჩენია შაქარ ჯაიანი. მემატიანის ცნობით აჭარელი ჯაიანები სწორედ მისი ნამდვილი და შთამომავლები არიან.

შაქირს ხუთი ვაჟი ჰყოლია. ერთ მათგანი ფოთის ფაშას დამორჩილებია და რამდენიმე წელი იქ უცხოვრია.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ჯაიანების ერთი შტო სამეგრელოს სოფელ ხორგაში და ალერტში დასახლებულან. ფოთის ფაშასთან ცუდი ურთიერთობის გამო შაქარი და მისი ვაჟი ძმისშვილთან ერთად აჭარაში, სოფელ გონიოში დასახლებულან. ფოთიდან ჩამოსახლების მიზეზი არაერთ ისტორიულ წყაროში არ ჩანს. მკვლევარ ოთარ სოსელიას (ჟურნალი „განთიადი“ №4, 1978 წ.) ცნობით სამეგრელობდან გონიოში ჩამოსახლებულ ჯაიანს ჰყოლია ხუთი ვაჟი. ერთი მათგანი გონიოში ციებ-ცხელებით ანუ როგორც ამ ავადმყოფობას უწოდებენ, მალარიით დაღუპულა. ალბათ ამ ავადმყოფობამ განაპირობა ის, რომ ჯაიანების ერთი ძმა,

ფარნა, ბორჩხაში წასულიყო საცხოვრებლად, ხოლო შაქარ ჯაიანი თავის შვილებით — ხიხაძირში.

თავად ჯაიანს ცოლად ჰყავდა აჭარის მმართველის, შემდგომში ახალციხის ფაშის სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი, ქალბატონი ესმა ხიმშიაშვილი-ჯაიანი. (დიმიტრი ბაქრაძე, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973 წ. გვ. 289).

აჭარაში ჩვენი გვარის ჩასახლების სხვადასხვა ვერსია არსებობს. მწერალისა და პუბლიცისტის რამაზ სურმანიძის გადმოცემით (ჟურნალი „ჭოროხი", № 3, 1989 წ.) სამი ძმა ჯაიანები სრულიად სერიოზული მიზეზით წამოსულან ზემო სვანეთიდან. ერთი ძმა დარჩენილა ლიხთ-იმერეთში, ორი ძმა კი სამეგრელოში. იგი ასაბუთებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ჯაიანები იმერლები არიან. ასევე გვაუწყებს, რომ იმერეთიდან სამეგრელოში, კერძოდ ფოთში ჩამოსახლებული შაქარ ჯაიანი ფოთის ფაშასთან ცუდი ურთიერთობის გამო თავისი შვილებით, ძმისშვილებთან ერთად გადმოსახლებულა აჭარაში, კერძოდ, გონიოში და ჭოროხის მარცხენა მხარეს დაუდია ბინა. შემდგომში ჯაიანების ოჯახს კლიმატური პირობების გამო დაუწყია მომთაბარეობა და ხიხაძირთან ახლოს შემოუღობავს პატარა უბანი, რომლისთვისაც უბოძებიათ სახელი „სვანა". მემატიანის გადმოცემით, ამ სოფლის სახელწოდება განაპირობა ჯაიანების გვარმა. ამით იგი ისტორიულად ამტკიცებს, რომ ჯაიანების სვანობაში ეჭვი არავის ეპარება და ის, რომ თურქეთის შემოსევამ აჭარაში ბევრი რამ დაამახინჯა, მათ შორის ამ სოფლის სახელწოდებაც. „სვანას" დაემატა ასო „კ" და შემდგომში ეწოდება „სკვანად".

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რემზის ბიძაშვილი ბენო ჯაიანი



ნუგზარ აქვსენტის ძე ჯაიანი



რემზი ჯაიანი შვილებთან მამული და ჟუჟუნასთან ერთად

## კედელში ჩატანებული განძი

1968 წელს სოფელ სკვანაში დაშალეს ძველი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ეკუთვნოდა სულო ჯაიანს – ტაშტანის მამას. სახლის კედელში ჩასმულ პატარა რკინის ყუთში აღმოჩნდა რამდენიმე ცალი ძველი მონეტა და სხვა ნივთები. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კი ის იყო, რაც ჩვენს გვარს აინტერესებდა. ყუთში აღმოჩნდა პატარა ხელნაწერი წიგნი და ორი ცალი შტამპი (დამღა). პირველი შტამპი მონეტისოდენა იყო – რუსული წარწერით: Уполномоченный Хихадзирского ущелья Джаиани М.С. მეორე უფრო დიდი ზომისა გახლადთ წარწერით Князю Джаиани А.С. ეს შტამპები დღესაც ინახება ტაშტან ჯაიანის ოჯახში, მის შვილებთან.

კიდევ ერთი ცნობა ტაშტანის მონათხრობიდან: სულო აღას გადმოცემით, სკვანაში გამოუვლია რუს მოგზაურს. იმჟამინდელ სოფელში ეგრეთწოდებულ ნამწვავში ჯაიანების სახლი მდგარა. ეს სახლი შემდგომში დამწვარა, რის გამოც ამ ადგილისთვის უწოდებიათ ,,ნამწვავი". სწორედ ამ ,,ნამწვავში" მოხვდა რუსი მოგზაური და რამდენიმე დღეს ჯაიანებთან ოჯახში სტუმრად დარჩენილა. ნაწვავში შეუდგენია სხალთის ხეობის რუკა და უმუშავნია გვარების გენეალოგიის შექმნაზე. გამზგავრების წინ დიდი თხოვნით მიუმართავს ჯაინებისთვის, რომ მისთვის პეტერბურგში გაეყოლებინათ ერთი ახალგაზრდა ჯაიანი განათლების მისაღებად. ჯაიანები ენდნენ და გააყოლეს წარმოსადეგი ახალგაზრდა, სახელად ,,აბდი". რამოდენიმე ხნის შემდეგ, აბდი ჯაიანი ხეობას დაბრუნებია სამხედრო ჩინით. მემატიანე ზუსტად ვერ გადმოგვცემს ვის ჰქონდა რუსი მეფის მიერ ნაბოძები ამოდენა უფლებამოსილება. მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჯაიანებს თავადობა მეფის მიერ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა




დათ ნაბოძები, ჯაიანები თვითმარქვია არასოდეს ყოფილან. აჭარაში კი აღებად იწოდებოდნენ.“

ეს გახლდათ ამონარიდი რეზო ჯაიანის გამოცემული წიგნიდან „გვარი ჩვენი - ჯაიანი“, რომელშიც განთავსებულია ნუგზარ ჯაიანის სურათი.

ამ სურათიდან შეიძლება ითქვას, რომ ჯაიანები ერთმანეთს ნათესავებად თვლიან.

* * *

ახლა მინდა შემოგთავაზოთ იმ კუთხის ისტორია, სადაც ბინადრობს თავის შთამომავლობით ჩვენი ღრმად პატივცემული ნუგზარ ჯაიანი.

## გონიოს ციხე

გონიოს ციხე-სიმაგრე (ბერძნულ-რომაული წყაროებით – აფსარუნტის ციხე) საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-სიმაგრეა. იგი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, ქ. ბათუმიდან სოფ. სარფისკენ მიმავალ გზაზე, ქ. ბათუმიდან 12 კმ-ის დაშორებით ამჟამინდელ სოფ. გონიოში. უძველესი ცნობა ციხე-ქალაქის შესახებ ეკუთვნის რომაელ



ავტორ პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I საუკუნე), როგორც დიდ სატრანზიტო გზაზე მდებარე, კოლხეთის სტრატეგიული ქალაქი, ძველი ბერძენი ისტორიკოსის არიანეს (დაახლ. 95-175 წწ) ცნობით, რომელმაც ახ. წ. 134 წელს იმპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორ ადრიანეს დავალებით მოიარა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, იმპერატორისთვის მომზადებულ ოფიციალურ ანგარიშში („ლათინური წერილი“), რომელიც შემდეგ მან ლიტერატურულად გადაამუშავა და უწოდა „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, სხვა მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად, ასევე აღწერს სანაპიროზე არსებულ ციხე-სიმაგრეებსაც (აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი). არიანეს ცნობით აფსაროსში რომაელთა ხუთი კოჰორტა იდგა, რაც მის სიდიდესა და მნიშვნელობაზე მეტყველებს. აფსაროსში რომაული გარნიზონის ყოფნის შესახებ ცნობებს სხვა წყაროებიც გვაწვდიან. მაგ. იტალიაში, ნოლას მახლობლად აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, მარკუს პრეტორიუს კელერი, რომელიც იმპერატორმა ტარიანემ დააჯილდოვა პართიის ომში (113-117 წწ) მონაწილეობისათვის, ერთ დროს ასრულებდა რომაელთა იმ სანაპირო ჯარების მეთაურის მოვალეობას, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ აფსარში. ეგვიპტეში (ფაიუმში) აღმოჩნდა II საუკუნით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც დაწერილია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანის მარციალის მიერ, წერილობითი წყაროებითა და აღმოჩენილი წარწერების მიხედვით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების რომაული გარნიზონები: დამხმარე საგუშაგო რაზმები, იმპერატორ კლავდიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა, მოისართა კოჰორტა და იმპერატორ მარკუს ავრელიუსის სახელობის კოჰორტა. ასე რომ, აფსაროსში დაახლოებით 1200-დან 1500-მდე ლეგიონერი იდგა.

განსაკუთრებით საინტერესოა ახ.წ. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი რუკა, სადაც აფსაროსის ციხის მხოლოდ სახელი კი არ არის მითითებული, არამედ მისი სქემატური გეგმაც თან ახლავს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კასტორიუსი იყენებდა ძველ, კერძოდ, ახ. წ. I-II სს-ის წყაროებს.

როგორც ჩანს, ახ. წ. II ს-ის I ნახევარში აფსაროსი არა მარტო ძლიერი სამხედრო პუნქტი, არამედ მნიშვნელოვანი ქალაქური დასახლებაც იყო.

აფსაროსის ციხე-სიმაგრის შესახებ ცნობებს ასევე გვაწვდიან: პროკოპი კესარიელი (VI ს.) და ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს-ის II ნახევარი). პროკოფი კესარიელი აღნიშნავდა: ,,ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული ყოფილა თეატრით და იპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია‘‘. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ აფსაროსი კეთილმოწყობილი ციხე-ქალაქი ყოფილა, იპოდრომითა და სხვადასხვა ნაგებობებით. ახ. წ. III საუკუნიდან შესამჩნევია აფსაროსის სამხედრო პუნქტად გადაქცევის ტენდენცია. ამ დროის ავტორი იპოლიტე რომაელი მოიხსენიბს აფსაროსს. ეს სიტყვა კი ბანაკს, სასაზღვრო პუნქტს აღნიშნავდა. აფსაროსს ასევე ბანაკის სახელით მოიხსენიებს ევსევი კესარიელი (260-340 წწ). დოროთეოზ ტვირელი, ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის აღწერისას მიუთითებდა: ,,ანდრია მივიდა დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფასისი.‘‘ საუკუნეების განმავლობაში ამ მეტად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა რომის იმპერია, შემდეგ ყურადღებას არ აკლებდა მას ბიზანტია და იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები. IV ს-ის II ნახევრიდან აფსაროსში აღარ იდგა რომაული გარნიზონი. VI საუკუნის ავტორს პროკოპი კესარიელს ფაზისი და აფსაროსი სრულიად გაპარტახებული დახვედრია. ამრიგად, აფსაროსის ციხე ახ. წ. VI ს-ის II ნახევრიდან VI ს-ის I

ნახევრის ჩათვლით მიტოვებულია. ამ ცნობებს ეხმაურება არქეოლოგიური მონაპოვარიც.

ცხოვრების გამოცოცხლება აფსაროსში VI ს-ის II ნახევრიდან იწყება. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით მეფე გუბაზის მკვლელებს ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში ამწყვდევენ. აფსაროსისა და სხვა სამხედრო პუნქტების გამოყენების მიზნით, ბიზანტიელებმა VII ს-ში კლარჯეთის მთელი ზღვისპირეთი მიიტაცეს. VII ს-ის I ნახევრის ბიზანტიური წყარო აფსაროსს აფსარს უწოდებს. აფსაროსს, როგორც სამხედრო ბანაკს იცნობს VIII ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. აფსარეას ქალაქს იხსენიებს აგრეთვე VIII ს-ის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე. XI ს-ის დასასრულსა და XII ს-ის დასაწყისში მეფე დავით აღმაშენებელმა თითქმის მთელი საქართველო გაათავისუფლა თურქებისგან. ამის შემდგომ ჩნდება აფსაროსის ახალი სახელწოდება – გონიო, გონია. ამ დროის ტრაპეზუნტში და მის ჩრდილოეთითაც აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებენ გენუელი ვაჭრები. ამასთან ისინი აარსებდნენ ფაქტორიებს. არ არის გამორიცხული, რომ მათ ძველ აფსაროსში თავისი ფაქტორია ჰქონოდათ და სახელწოდება გონიოც გენუელებთან იყოს დაკავშირებული.

1547 წელს ციხესიმაგრე ოსმალებმა დაიკავეს, რომელთა მფლობელობაში იგი 1878 წლამდე იყო, როცა სან-სტეფანოს ზავით იგი აჭარასთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა. 1590-1595 წლებში ოსმალებმა აამაღლეს გალავნის კედლები და იგი შემდგომი საბრძოლო ოპერაციების პლაცდრამად აქციეს.

1616-1618 წლებში გონიოს ციხე შაჰ-აბასისგან დევნილი კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის რეზიდენცია იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1654 წელს გონიოს ციხე შავ ზღვაზე მოთარეშე დონელ კაზაკთა რაზმმა აიღო, რომლებიც თურქმა იანიჩრებმა მთლინად ამოჟლიტეს.

გონიოს ციხეზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გონიოს მცირე ქალაქად მოიხსენიებს.

XIX ს-ის I ნახევრის გონიოს შესახებ ცნობას გვაწვდიან ევროპელი მოგზაურები კოხი და სპენსერი. ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის შესახებ ცნობას გვაწვდიან კ. პალგრევი და გ. ყაზბეგი.

ციხის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (245 X 195 მ), ყოველ მხარეს თითო ჭიშკარი აქვს (ამჟამად დასავლეთ ჭიშკრის გარდა ყველა ამოშენებულია). გალავნის კედლების საერთო სიგრძე 900 მ-მდეა, სიმაღლე – დაახლოებით 7 მ. გალვანი გამაგრებულია 18 კოშკით (თავდაპირველად 22 კოშკი ჰქონია). კოშკებს შორის სიდიდით კუთხეებში ჩართული კოშკები გამოირჩევა, რომლებსაც ეზოს მხარეს ქვის კიბე აქვთ მოწყობილი. კოშკები ძირითადად სწორკუთხედებია, თუმცა არის მომრგვალებული ბოლოებითაც. ციხე-სიმაგრე რამდენიმე ფენას შეიცავს. თავდაპირველი ფენა (I-III სს-ბი) წყობის კარგი ხარისხით გამოირჩევა და მოზრდილი ზომის, კარგად დამუშავებული კვადრებითაა ნაწყობი. მეორე ფენის კედლები (VI-VII სს) შედარებით მდარე ხარისხისაა. მესამე ფენა იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ციხე-სიმაგრე ოსმალებს ეჭირათ. ამ პერიოდისაა გალავნის კედლების ზედა ნაწილები ოთხკუთხა ქონგურებითურთ.

ციხესიმაგრის ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით XX ს-ის დასაწყისიდან იქცევდა ყურადღებას. 1959 წელს ციხის ტერიტორია და მისი მიდამოები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ის-

ტორიის ინსტიტუტის სადაზვერვო რაზმმა მოიხილა. მოპოვებულმა მასალამ დაადასტურა აქ ინტენსიური ცხოვრების კვალი.

1961 წლიდან ციხის ტერიტორიაზე და მის მიდამოებს სწავლობს ქ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც სხვადასხვა ეპოქის მნიშვნელოვან ნაგებობებს მიაკვლია.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან გონიოს მიდამოებში ფუნქციონირებდნენ რკინის მეტალურგიის მძლავრი კერები (ავგია, ჭარნალი, ახალსოფელი, კვარიათი); აღსანიშნავია ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე.წ. დიუნური დასახლების ნაშთები, რომელიც ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. აფსაროსში საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს წყალსადენის ქსელის, მოკირწყლული ქუჩებისა და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის გამოვლენა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აქ იყო კოლხეთის დიდმოხელეთა რეზიდენცია — სამოსახლოთი და თავისი საგვარეულო სამაროვნებით (აღმოჩნდა მდიდრული სამარხი). ციხის სამხრეთ კედელთან ახლოს გაითხარა ძვ. წ. V საუკუნის ორი სამარხი, რომლებშიც სხვადასხვა ფორმის დოქებთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის სხივანა საყურე, ბრინჯაოს სამაჯურები, გიშრის, ქარვის, მინისებრი პასტის მძივები. ძვ. წ. IV ს. დასასრულსა და ძვ. წ. III ს-ში იწყება აფსაროსის ახალი აღორძინება. ამის დამადასტურებელია ელინისტური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები და მათში არსებული არტეფაქტები (კოლხური ამფორა, დერგი, შავპრიალა დოქი და სხვ.) განსაკუთრებით საყურადღებოა მაკედონიის მეფის ანტიგონა გონატას (ძვ. წ. 277-239 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა და ელინიზმის ეპოქით დათარიღებული სინოპური ამფორები. 1974 წელს საავტომობილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის გაფართოებისას ციხესთან შემთხვევით აღმოჩნდა ჩაფლული ლითონის ჭურჭელი ოქროს ნივთებით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „გონიოს განძის“ სახელითაა ცნობილი და ახ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება. განძის შემადგენლობაშია ჭაბუკის მთლიანად ასხმული ოქროს ქანდაკება, ოქროს ფიალა, სამაჯურები, ბალთები, ოქროს მოთვალული და დაცვარული ფირფიტები, კილიტები და სხვ.

ძვ. წ. II ს. კოლხეთს პონტოს მეფე მითრიდატე დაეუფლა. ძვ. წ. 65-47 წწ-ში კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც არისტარქე მართავდა. არისტარქეს მმართველობის შემდგომ კოლხეთი აღარ წარმოადგენდა ცალკე სახელმწიფო ერთეულს და იგი ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომაელებზე დაქვემდებარებულ პოლემონების პონტოს საზღვრებში მოექცა. ძველი ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 ახ. წ. 23/24 წწ) ნაშრომის („გეოგრაფია“) მიხედვით, რომლის XI წიგნში თავმოყრილია ცნობები საქართველოს შესახებ და დაწვრილებით აღწერს ქალაქებითა და დაბებით კარგად დასახლებულ ქვეყანას, აღნიშნავს ოთხ დიდ მაგისტრალს (კოლხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან, არმენიიდან). მოსახლეობაშიც იგი ოთხ ძირითად ფენას შენიშნავს. სტრაბონს საინტერესო ცნობები აქვს კოლხეთის ისტორიისათვის. მისი ცნობით კოლხეთი დაყოფილი ყოფილა ცალკეულ სკეპტქიებად. ახასიათებს ქალაქებს: პიტიუნტს, დიოსკურიას, ფასისს, შორაპანს და ტრაპეზუნტს. სტრაბონის ცნობით კოლხეთს, ისევე როგორც ტრაპეზუნტს, ფარნაკიასა და მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს მართავდა პოლემონ I-ის ქვრივი პითოდორიდა. ცხადია, რომ აფსაროსის დასახლებაც პოლემონების პონტოს საზღვრებში იყო მოქცეული.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ახ. წ. VIII ს-ის II ნახევრის საეკლესიო მოღვაწის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ცნობით „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსიანები დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰვისის ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობდნენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები.“ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თანახმად მოციქული სვიმეონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში. ეპიფანე კვიპროსელის (ახ. წ. IV ს. მიხედვით კი, საქართველოში მოციქული მატათაცაა დაკრძალული. მატათამ (მატათიამ) „იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთი), სადაც არის აფსარის ციხე და ჰვისის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე.“ იგივე შინაარსის ცნობებს გვაწვდიან დოროთეოზ ტვირელი (ახ. წ. III ს). სოფრონი (IV ს.) და სხვანი.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსის ახ. წ. 77 წლით დათარიღებული ნაშრომის მიხედვით „ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯით დაშორებულია მდინარე აფსარი, რომლის შესართავთან ამავე სახელის ციხესიმაგრეა“. ამავე ავტორის ცნობით აფსაროსი მაკრონების ქვეყანაშია, რომლის ჩრდილოეთითაც, ჭოროხის შესართავთან ლაზები ცხოვრობდნენ. აღნიშნული ცნობის მიხედვით აფსაროსი უკვე ახ. წ. I საუკუნის II ნახევრიდან მოქმედი ციხეა. რაც დასტურდება არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

,,ცნობილია, რომ აჭარა ოდითგანვე იყო საქვეყნოდ გამოჩენილ მოღვაწეთა მშობლიური მხარე. ზოგიერთს განგებამ განსაკუთრებული როლი დააკისრა,რომელთა მოღვაწეობამ და მამულიშვილურმა პოზიციამ ბევრად განსაზღვრა აჭარის – საქართველოს ძირძველი კუთხის ბედი,აწმყო და მომვალი. საბედნიეროდ აჭარას სათავეში ყოველთვის ღირსეული პიროვნებები ევლინებოდნენ და ასე ამ მხარის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის. მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს მგზნებარე მამულიშვილების,წარსულში აჭარის პოლიტიკური და სახელმწიფო ლიდერების სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, ზექერია ლორთქიფანიძის, დავით მამულაძის, ისმაილ ფუტკააძის, მამია გოგოლიშვილის, ალექსანდრე თხილაიშვილის, ვახტანგ პაპუნიძის, დავით დავითაძის, რევაზ კომახიძის, ლევან დავითაძის, დავით დიასამიძისა და სხვათა ღვაწლსა და ამაგს.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე ადამიანს ცხოვრება ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან დაუწყია, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულიდან და უწყვეტად სახლობდა მომდევნო პერიოდებშიც. ამ მხარემ ისეთივე შემოსევა, დაპყრობა-აწიოკება, განადგურება-აღორძინება და წინსვლა-აყვავება განიცადა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებმა.

აჭარის, კერძოდ, აჭარისწყლის ხეობის ისტორიული მისიის წარმოჩენისათვის განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება ლეონტი მროველის ცნობა აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შესახებ. მასში ნათქვამია: ,,ფარნავაზმა (300-237) ოძრხეს მმართველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნილ ერისთავს „მისცა ტაშის კარითგან, ვიდრე არსიანამდის, ნოსტის თავიდან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“.

ამავე აზრისანი არიან ვახუშტი ბაგრატიონი და დიმიტრი ბაქრაძე.

ვახუშტი ბაგრატინი მიუთითებს: „აჭარა და ჭანეთი არს სამცხისა“, ხოლო დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს: „მთაპერანგა... იკლიკანტურად მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და აჭარისწყალსა და ჭოროხის შესართავთან წყდება. იგი მთელ თავის სიგრძეზე მიჯნავს ჩურუქ-სუსა და ბათუმის ყაზების მოსახლეობას აჭარის მოსახლეობისაგან. ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა.“

მთების კალთებში ამაყად ჩამჯდარი თხილვანა ზემო აჭარის ერთ-ერთი ლამაზი და სახელგანთქმული სოფელია. აღმოსავლეთით მას თავს ადგას ცნობილი ხირხათის მთა თავისი ციხე-კოშკებით. ჩრდილო-აღმოსავლეთით ზემოდან დაჰყურებს აბანოფერდის მწვერვალი, სამხრეთით მოჩანს აჭარა-შავშეთის ქედი და ცადაზიდული არსიანიც.სოფელს კიდევ უფრო ლამაზსა და მიმზდველს ხდის მისი მდიდარი ბუნება, მოჩუხჩუხე ცივი ნაკადულები და მშვენიერი ჰავა. აქვს დიდებული წარსულიც, ოდესღაც აქ ჰყვაოდა ქართული კულტურა. ასე ახასიათებს თავის მემუარებში მშობლიურ სოფელს დავით მამულაძე: აჭარისწყლის ხეობას, სხალთისწყლისა და მის მიმდებარე სოფლებს ამშვენებს ხირხათის მთის ქედის ტაფობზე აგებული ხიხანის ისტორიული ციხე-სიმარგე. ეს ციხე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კარიბჭე იყო და სტრატეგიული ცენტრიც. ამ ციხისთვის ბრძოლებს ბევრი მამულიშვილი შეეწირა. როგორც

ზემოთ აღინიშნა, აქ დაამთავრა თავისი გმირული ცხოვრება და ლამაზი სიცოცხლე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა მედროშემ, მხატვრულ ლიტერატურაში „ხიხანის არწივად“ წოდებულმა სელიმ ხიმშიაშვილმა, იგი ვერაგულად ხელთ იგდეს მტრებმა და 1815 წლის 3 ივლსს თავი მოჰკვეთეს სოფელ ბაკოში (სერიყანაში). ხიხანის ციხე, მისი არწივების ისტორია ალამაზებს და ავსებს ამ ხეობის ისტორიას, მათ შორის თხილვანას ისტორიასაც.

თხილვანას სახელი დიდი ხანია დამკვიდრდა საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით – შუა საუკუნეებდან, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შეადგენდა საერისთავოს. XI-XIV საუკუნეებში მას მართავდა ცნობილი აბუსერისძეთა დიდებული გვარი. მათი სამკვიდრო, ისტორიული წყაროების მიხედვით, ხიხანის ხეობა ყოფილა. ხოლო ხირხათი სოფელი თხილვანა ანუ აჭარის საერისთავოების – აბუსერისძეების რეზიდენცია.

ამ სოფელმა ქართველ ერს, ცივილიზებულ კაცობრიობას, მისცა ისეთი ცნობილი პიროვნება, უთვალსაჩინოესი ფიგურა და გენიალური მოაზროვნე, როგორიც იყო მწერალი, მეცნიერი, ვარსკვლავთმრიცხველი აბუსერისძე ტბელი".

ჩემო მკითხელო, წიგნი „ხიხანის საარწივოდან" ისე უნდა წაიკითხოს ყველამ, როგორც ბიბლია. ბევრ ახალს აღმოაჩენთ თქვენთვის ვლადიმერ მამულაძის რწმენით განვლილი ცხოვრებიდან.

* * *

ახლა კი სანამ მომდევნო თემაზე გადავიდოდე, ნება მომეცით მოკლედ განვმარტო სახელმწიფო უშიშროების დანიშნულების ფუნქცია.

დავიწყოთ საქართველოს კონსტიტუციიდან. (გამოცემა 2009 წელი) და ჩავიხედოთ მასში:

მუხლი 34 განმარტავს: საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისთვის, კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

აქიდან გამომდინარე, უშიშროების სამსახური ემსახურება სახელმწიფოს კეთილდღეობას და მის ძლიერებას, რომ დაცული იყოს ის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც სახელმწიფოს ძლიერებას ემსახურება, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას.

ამას ავალდებულებს კონსტიტუციის მუხლი 44. იგი ასეც განიმარტება: „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს''.

